



პოეტი ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანი მის დაბადებიდან ასის წლის დღესასწაულის გამო.

იღუმელი განცხადანი

მკათათვის არდადეგები იყო.

ჩაწვერილ მზეს ჩრდილები გრძლად დაეწვინა.

საამური სიო მოჰბერდა ერთ სართულიან სკოლის ფართე აივანზე.

სახაფაზლოდ ჩამოსულ ახალგაზღვრებას თავი მოეყარა:

იღვა ხმაურობა, ჟიჟივი, კისკისი, შესვლა-გასვლა:

სახვალიო პირველ წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ.

— მაშ, ასე ყმაწვილებო, სანდრო ხვალ მოგვიტანს სკამებსა და მაგიდას, სცენისათვის ვანო—სუფრებსა და ფარდებს, ლადო ხალიჩასა და მუთაქებს, დათიკო—თოფსა და ქამარ-ხანჯალს, გენო ცოცხალ ყვავილებს, გიო დუქნიდან ფიცრებს ამოგვიზიდავს. ამას გარდა ვისაც რაც დასჭირდება თავის როლის შესაფერი, თითონვე უნდა იზოვნოს... ხომ ასეა?..

— ასეა!—გაისმა რამდენიმე ხმა.

— აბა, გენო, ყვავილებს უსათუოდ მოველით. ხომ იცი პირველი წარმოდგენა და ლამაზად უნდა მოგროთოთ სცენა.

— უსათუოდ. აღრიანადვე გავალ ზვარში და გამოვიტან. გენო უჩინარად გაჰშორდა ხმაურობას და წყნარად გაემართა მაღალ სერზე წამომდგარ ორსართულიან, ქვიტიკრის სახლისაკენ.

წყნარი, ჩუმი და გულჩახვეული ახალგაზდა იყო გენო. მის სახეს მუდამ ფიქრის დალი ესვა. გულკეთილი, პირდაპირი, უწყინარი და უზომოდ მომთმინო სხვა ახალგაზდებს არა ჰგვანდა. გიჟმაჟი ლაზღანდარობა და გართობა გულის ვერ უხალისებდა. ყოველი წვრილმანი მოვლენაც კი მსწრაფლსა და წაუშლელ კვალსა სტოვებდა მის სათუთ, მგრძობიარე გულში. ყოველ ახალ მოვლენას გულდასმით ჩაჰკირკიტებდა, თავსა და ბოლოს უშინჯავდა, მის გაგებასა და შეგნებას სცდილობდა. გულდასმით ისმენდა ყველას ნათქვამს, ხოლო თავის გულის-ნადებს, განცდას, სათუთად ინახავდა, როგორც განძეულს, და უბრალოდ არავის გაუზიარებდა.

თუ იტყოდა რასმე, იმასაც მოკლედ, ერთის ამოთქმით, მაგრამ ისე ყრუდ თითქოს თავის თავს ელაპარაკებო.

საკვირველი წინაგრძობის პატრონი იყო. ხშირად გზად მიმავალს მოჰსურვებია ვისიმე შეხვედრა, დაუფიქრებლად, აღლოს აყოლით, შეუხვევია მეორე ქუჩაში და მისი ნანატრი არსება უცაბედად წინ შეჰხეჩებია, სულ შემთხვევით.

რალაც განუზომელი, უცნობი, იღუმელი განცდანი აგრძობინებდა ხოლმე სახვლიო მოვლენას.

ხშირად უმტვრევია თავი ასეთ მოვლენის გასაგებად,

შესაგნებლად, მაგრამ ვერც თავი გაუგია, ვერც ბოლო.

აი, ეხლაც აღლოს აყოლით, დაუფიქრებლად, გადაუხვია სახლისაკენ მიმავალ დაგრეხილ საურმე გზას და საცალფეხო ბილიკს შეუღვა.

მისი სახლი სერის თავზე წამომდგარიყო და გადმოსცქეროდა ხელის გულივით ტაფობად გადაშლილ ვენახბადებსა და გაზურმუხტებულ ველ-მინდორს. სერის ორთავ მხრივ დაშვებული ღრანტე ფერდობები ხშირ მაყვლის ბარდებით დაბურულიყო. აქა-იქ, ფერდობზე, ეულად ამართული თელა ყურს უგდებდა ღერღუტით მომჩქეფარე უჩინარ ნაკადს, რომელიც ადგილ-ადგილ თავს გამოჰყოფდა, ტინის მკერდიდან ჩხრიალით ეშვებოდა და კვლავ იკარგებოდა დაბურულ ხევში.

მყუდრო საღამო იდგა.

მზე ჩასულიყო.

შეხავერდებულ სერს სიო ეჩურჩულებოდა.

ჩუხჩუხა ნაკადი კი სამი აღლის სიმალიდან სჩქეფდა, აუხს გულში ეხეთქებოდა, ქაფად ქცეული წინწყლებს აფრქვევდა გადახრილ მინდის ტოტებს, საცალფეხო ბილიკს ჰსერავდა და ხევისაკენ ექანებოდა.

მთვარეს ის-ის იყო ამოეყო, აღისფერ შარავანდელით მოსილი, ბადრი სახე და ლურჯ, კამკამა, სივრცეში ვარსკვლავების თანხლებით თინათინობდა.

მისი ოქროსფერი შუქი იღუმელების ელფერსა სდებდა არე-მარეს.

გენომ ცივ-ცივი წყალი შეიშხაპუნა პირზე, გვერდით მიუჯდა ნაკადს და მის ღერღუტს გულდასმით ისმენდა, თითქოს დიდიხნის თავგადასავალს უამბობენო. ნაკადი კი აღერსინანად აყრიდა წინწყლებს თავსაია ხუჭუჭა თმაზე.

გენო გაუყუჩდა ნაკადის ღერღუტს, სურნელოვან საღამოს სიოს, ფერად ჩრდილებად დაფენილ ველ-მინდორს.

ყოველი ხე, ყოველი ჩირგვი, ყოველი მაყვლის ძირი ნაცნობი იყო მისთვის და მარტოობას როდი ჰგრძობდა: გარს ეხვია თანშეზრდილი ტოლ-ამხანაგები.

— სწორედ აქ იყო!—წარმოსთქვა გენომ და სიყმაწვილის ერთი ამბავი გაახსენდა. მაშინ რვა წლისა იქნებოდა. ამხანაგებით მაყვალზე წამოვიდა. ამ ნაკადს რომ გადააბიჯა, მოესმა ყვირილი:

— გენო, გველი!

ამხანაგები წივილ-კივილით გარბოდნენ აღმა-დაღმა. გენომ დაჰხედა თავალერებულ გველს. თვალით დაუბნელდა, ენა ჩაუვარდა და გადაფითრებული გამობობლდა ბილიკზე, მაგრამ ხევისკენ კვირტის გორგალივით დაგორდა და მაყვლის ბარდებში გაიქედა. ბავშვების წივილ-კივილზე მოეშველნენ მგზავრები. სახე დაკაწრული, გადაფითრებული, გონება მიხდილი გენო გამოაძრეს ფრთხილად ბარდიდან.

ამ მაყვლობამ მთელი სამი კვირა ლოგინად ჩააგდო გენო. მას მერე რამდენიმე წელიწადმაც გაიარა, რომ აქეთ აღარ გაუწაწანია. ეს ამბავი კი მუდამ თვალწინ ედგა როგორც შემზარავი მოგონება.

ეხლაც, გაახსენდა თუ არა, ფიცხლავ მოსხლტა ნაკადს და აღმართს შეუღვა. რაიმე შიში კი არ უგრძენია უკვე დავაჟკაცებულ გენოს, მაგრამ რალაც უსიამოვნოდ გადუქანდა გული.

როდესაც კი ეს ამბავი გახსენდებოდა, უსიამოვნო რამ თავგადასავალს მოელოდა. სასწავლებელში, მაგალითად, სიზმრალაც რომ ენახა გველი, ისე ჰქონდა დაცდილი, რომ მეორე დღეს ან მასწავლებელი დაუწერდა „ჩურჩხელას“, ან ვინმე მახლობელი აწყენინებდა რასმე.

გენომ ვერც კი შეიტყო, როგორ აირბინა აღმართი. ამ მოგონებამ მთლად აუფორიაქა გონება. ერთს მოგონებას მეორე მოჰყვა. გენო აივანზე ხალიჩა-დაგებულ ტახტზე ჩამოჯდა, აივნის სურაიას დაეყრდნო და გასცქეროდა გრძნეულ ლამის იღუმელ ფეთქვას.

ღამე კი მართლაც გრძნეული იყო.

აივნის წინ, დაფანჯრულ ქოლგასავით ამართულ უშველებელ—მკლავებ—გაშლილ, კაკალს მომჯადოებელი შუქნარევი, ოღნავ მოციალე, ჩრდილი დაეწვინა ეზოში. დედამიწის წიაღს საკინძი გადაეხსნა, გაღვლილი გული მიეშვირა გრძნეულ მთვარისათვის და ათასფერ გაღვიბულ, სახვლიოდ გამზადებულ კოკორს გასალიმებლად ისტუმრებდა გადამწვანებულ, ფერადად ნაქარგ მკერდზე. მთის სიო გულში ეხუტებოდა მკერდ—მოღვლილ მიდამოს. ფოთოლ დახრილი, შეკუნწილი ვაზები ტკბილად ჩაჰკანებოდა წელში ამა-



ყად ამართულ ჭიგოებს. ტოტებ დახევილ, დაკუნძოლულ ვაშლს დრო და დრო მოსხლტებოდა დასწეულბული ნაყოფი და მისი ტყაპანი გაისმოდა ღამის მყურდროებაში. მთვარე კი ქათქათებდა უღრუბლო, ცაზე, იღუმალბების სამოსელში ჰხვევდა შორეულ მიდამოს, თილისმასავით ელამუნებოდა გენოს გონებას, გარდუვალ საიდუმლოებებს უზიარებდა, ნახულ-გაგონილს, თვალ-წინ უყენებდა, მოგონებას მოგონებაზე აწნავდა. ვერც კი შეიტყო, რომ მთვარეს კაკლის ჩრდილი ჩრდილოეთისაკენ გადახარა.

გააჟრყოლა, ღამის სინოტიეს თავისი ძალა გამოეჩინა. უკვდავი, გარდუვალი ბუნება დაუსჯელად როდი ჩაახედებს ხოლომე მომაკვდავ ადამიანს თავის გულის წიაღში. გენო სწრაფად წამოიჭრა, ერთიკ გადაავლო თვალი მიდამოს, ოთახში ლოგინს მიაშურა და ტანისამოსიანად სითბოს გაუყუჩდა.

ისვენებდა სხეული, მაგრამ აფორიაქებულ გონების დადინჯება ასე ადვილი როდი იყო.

მთელ ღამეს ბორგავდა გენო. ბურანში წასულს წარმოუდგა, ვითომც გაღმა სერზე სანადიროდ გასულა. პაპანაქება. საშუბისტაროზე წამომდგარი მზე საშინლად აჭერს. ჰაერს ვარვარი გააქვს. ჯუჯა-კალიების ჭრიჭინი მიდამოს აყრუებს. ახლო-მახლო საჩრდილობელიც არ არის, რომ სული მოითქვას.

— გენო, მიშველე!.. გენო, მიშველე!— მოესმა უცებ. მიიხედა. პატარა ჩირგვიდან თავი ამოეყო ბამბის ქულასავით გაფუნთუშებულ, დედიშობილა ბავშვს, გარს უშველებელი გველი შემოაჭხვეოდა...

— გენო, გენო!.. მიშველე!.. მიშველე!.. — გაჰკიოდა ბავშვი.

გენო ფეთიანივით წამოვარდა ლოგინიდან. თვალეები მოიფშენიტა. ოთახში მიიხედ-მოიხედა. კედელზე ჩამოკიდებულ თოფს ხელი სტაცა, აივანზე გამოვარდა და გაღმა სერისაკენ იწყო მზერა.

მთვარე ჩასულიყო. რიჟრაჟის ბინდ-ბუნდს მოეცვა არემარე.

— ეს რა უცნაური სიზმარი იყო!.. თუ ეს რაიმე წინაგრძობაა, ხომ სინამდვილე უნდა ედოს სარჩულად. იმ ტიალსერზე კი არავინა სცხოვრობს... საკვირველია სწორედ...

გენო დიდხანს გასცქეროდა გაღმით სერს...

— გოგია!.. აპაი, გოგია!.. ივანე!.. არ გესმით, ბიჭო!.. გასძხა გენომ ეზოს მეორე ნაპირას, თავლაში მწოლიარე მოჯამაგირეებს.

— ბატონო, შენი ჭირიმე!

— გოგია, შენა ხარ?.. აქ მოდი!

— ეხლავე ბატონო?

მაზარა მოსხმული, ნამძინარევი, ქეჩო წამოშლილი გოგია ჩმუჩნით მოუახლოვდა აივანს.

— რას მიბძანებ, ბატონო?..

— გოგია, ეხლავე ცხენი შემიკმაზე, გაღმა ზვარში უნდა გავიდე...

გოგია ერთხანს პირდაღებული შეჰყურებდა თმა-აბურძგნულ, თვალეებ გაგანივრებულ გენოს, რომელსაც თოფი ეჭირა ხელში და გაშტერებით გაღმისკენ გაიყურებოდა. მერე რალაც აზრმა გაურბინა, თავი გააქნ-გამოაქნია, ერთბაშად გატრიალდა, სირბილით გაექანა თავლისაკენ და მოხუც ივანეს გულხეთქებით შესჩივლა:

— ივანე, გონი ი ჩვენი ახალგაზდა ბატონი, გაგიჟებულა: თვალეები დაუქყეტია, თოფი ხელში აულია და სადღაც გაიყურება. მიბძანა, ცხენი შემიკმაზე, ზვარში უნდა გავიდეო... რალაცა ცუდად კი არი და!.. აბა ერთი ნახე... ნწ... ნწ... საწყალი!

— რას მიჰქარავ, ბიჭო, რამ გააგიჟა... მთელი ოჯახის თვალი ეგ არი.

ივანე საჩქაროდ გამოვიდა.

გენო ისევ გაშტერებით გაჰყურებდა გაღმა სერს.

— დილა მშვიდობისა, ბატონო!.. — მიესალმა ივანე გაუბედევად და იქვნეულად ათვალიერებდა.

— იცოცხლე, ჩემო ივანე!.. ივანე, ერთი ცხენი შეაკაზმინე, ზვარში მინდა გავიდე... რო შეაკაზმოს, შემატყობინე.

— ბატონი ბძანდები, შენი ჭირიმე. — ივანე დაალხეინებული, რომ ახალგაზდა ბატონი სრულს ჰკუაზხეა, თავლას დაუბრუნდა. გენო კი სახლში შემოტრიალდა და მოლოდინში ლოგინზე მიწვა.

— საკვირველია სწორედ... რა უცნაურობა არ მინახავს, მაგრამ ასეთი რამ თავის დღეში არ დამსიზმრებია... — ფიქრობდა გენო.

ღამე ნათევს, მოქანცულს, თვალეები მალე მიეღულა... საშინელი წყურვილი იგრძნო, ხახა უშრებოდა. ნამძინარევი მისწვდა გვერდზე მდგარ წყლის დოქს. ასწია, დოქის პირიდან თავი ამოეყო გველს, დაზიზღებით და ათრთოლებით დოქი იატაკზე დაანარცხა, დოქი ქუცმაცად იქცა. წყალი დაიქცა... დააცქერდა, — მოჩვენება გაჰქრა.

— რალაც ამბავია ჩემს თავს! საშინელ რასმეს გადავწყდები სწორედ. — გადასწყვიტა გენომ. საჩქაროდ წამოდგა, თოფი მხარზე გადაიკიდა, აივანზე გამოვიდა. ცხენი შეაკაზმული იდგა, კიბის ბოძზე გამობმული. ივანე კუდს უნასკვავდა.

— ივანე, სადილობამდე დავბრუნდები, — უთხრა ივანეს, მარდად მოახტა მკერდ-გამოწეულ, გავა-დაკვერცხილ, ყარაბაღულ წაბლისფერ ცხენს და გასწია.

კარგა გათენებულიყო. გენომ სწრაფად ჩაიარა დაღმართი, ჩაივარა, გასცდა სოფლის ოღრო-ჩოღრო ორლობებს, გავიდა სოფლის ბოლოს და მდინარეს მიაღდა.

მთაში თუ ეწვიმნა, რომ ადიდებულ მდინარეს არემარე თან მოჰქონდა, ზავითა და შხუილით ტალღას ტალღაზე აგორებდა, მატულობდა.

მთელი სოფელი ნაპირზე მოჯარებულიყო: ცხენოსანი, ქვეითა, თუ ურმებით, ზოგს გაღმა გასვლა უნდოდა, მაგრამ ფაფარაშვებულ მდინარის შემმას ვერა ჰბედავდა; ზოგი გაღმიდან მოელოდა თავისიანებს; ზოგს დაეკარწახნა და ხეებსა, ფიცრებსა და ტივის მორებს იჭერდა. იდგა ყიჟინი, გაძახილ-გამოძახილი, რომელსაც მდინარის ღრიალი აყრუებდა.

გენომ პირდაპირ გასწია მდინარისაკენ.

— კნიაზო, გენო!.. ყმაწვილო!.. ბატონო გენო!.. — უძახოდენ აქეთ-იქიდან.

რამდენიმე მოხუცი და ახალგაზდა წინ გადაეღობა, ცხენის სადავე დაუჭირეს და არ უშვებდნენ.

— ცოტა მოითმინეთ, წყალი ჩამოჯდება და მაშინ გავალთ!..

— ნუ გეშინიათ. არა მიშავს რა, ცხენის იმედი მაქვს და მეჩქარება კიდევ.

— ყმაწვილო, ცეცხლსა და წყალს ხუმრობა არ უნდა!.. მაგრამ გენომ ცხენი მიაბრუნა და შეაცურა. წყალმა გავაზე გადაჰქრა.

გლეხები სულგანაბული გაჰყურებდნენ.

— სწორედ წერას აუტანია!..

თვალუწვდენელად გაშლილიყო მდინარის მკერდი, კალაპოტი გაეათებინა, უზარმაზარ ლოდებსა, ქვა-ლორდს ქუხილით მოაგორებდა და ძირიანად დაგლეჯილ ხეებს კოტრიალით მოატივტივებდა.

ცხენი ფრუტუნით მისცურავდა. შუა მდინარე გადასერა გენომ. შხუილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. ნაპირიდან რალაც ღრინაცელი და წივილ-კივილი ისმოდა.



(სურათი 1),

სოფოკლის „ედიპ მეფე“, ტფილ. სახაზინო თეატრში დადგმული მარჯანიშვილის რეჟისორობით.

სულ ახლოდან უცებ მოესმა:

— გენო, მიშველე!.. გენო, მიშველე!..—ზევით მიიხედა... მდინარე უზარმაზარ ხეს მოაკოტრიალებდა შუამდინარეობაში, ამობურთულ ფესოზე იჯდა მიშველი ბავშვი და უკიოდა:

— გენო, მიშველე!..

ნაპირზე ჟრიაპული შეიქმნა.

— დაიხრჩო!.. დაიხრჩო!.. უშველეთ...

გენო გაოგნდა ამ სანახაობით.

ტალღამ დაჰკრა, ხე შეატრიალა, ბოლო გადმოაქნევინა, გენოს ცხენს გავაზე შემოსცხო და რალაც მანქანებით ზედ გადქანა.

— გადარჩა!.. გადარჩა!.. აგერ, გაღმა გადის!..—ჟრიალებდა გამოღმა ნაპირი.

გენო სამშვიდობოს გავიდა. გაღმა არავინ იყო. ცხენი ღონივრად შეიბერტყა და მთლად თახთახებდა.

გენოს ყურებში მაყრულის ხმა ისმოდა. გაიხედა. ხალხი ღონივრად: სიმღერა, დაფა-ზურნა და ღრიანცელია.

— გენო!.. გენო... გენო!.. მოდი!.. მოდი!.. გენო, მოდი!..—მოესმის გენოს. ხელის ქნევით თავისკენ იწვევენ.

გენოსაც უნდა ცხენი მიაბრუნოს, ნახოს რა ხალხია, რა დღეობაა; რაც ძალი და ღონე აქვს ცხენს იქითკენ უღრეცავს კისერს, აღვირი ხელში მოსწურა. ცხენი კი, გონიერი ცხენი, უკან იწვევს, ფთხვება, ყალყზე დგება... თურმე გენო ისევ მდინარისკენ აბრუნებდა ცხენს...

გენო მოიქანცა... ხმები კი ესმის:

— გენო, გენო!.. მოდი, მოდი!..

ცხენმა ღონივრად გაიწია, სადავეები მიიშვა, დაიფრუტუნა, ხალისიან იორლით გაერთო ვენახებ შუა მიმავალ, ქვლორლიან ვიწრო ორღობებში, მალე ზვრის კართან გაჩერდა და ფრუტუნით მოკრთო.

გენო ერთხანს გაშტერებული იჯდა. ფერ-მიხილ, ლოყებ ჩაცვივებულ სახეზე გაოგნებული თვალები დაბნეულად უელავდა. ყურში გაურკვეველი შხუილი და ბუბუნის ელგა.

ბოლოს დააკვირდა მიდამოს, გონს მოვიდა, თავისი ზვარი იცნო. ჩამოხტა, საურმე კარს ურდულეები გამოუყარა, შევიდა. ცხენს ლავამი წაჰყარა, საწნახლის წინ აბიზინებულ იონჯაზე მიუშო და თოკი ხელზე დაიხვია.

ზვარში მყუდროება ჰფეთქდა.

ახლად წამოწეულ მზის სხივებს წყებად და წყეებად დაეწვინა ლარივით დაგეგმილი, შაბიამან ნახსური ამართულ ვაზების ჩრდილი. საწნახლის წინ ნებივრად ამოზიდულ მატიტელასა, იონჯას და მწყერის ფეხას ყაყარო მოჰრეოდა და ნახად ირხეოდა წერწეტა წელში. აქა-იქ გათამამებულს ნარის ეკალს ვარსკვლავა ბექედები გადაეშალა. ტყლუშურ ღობის ძირად ამართულ კაკლის ხეზე გვირიტი ობლად ღულუნებდა. ბალახებში ქია-ლუათა ფუთფუთიკ კი ისმოდა. თეთრი ჰეპელები ჰფრინავდნენ გვირილიდან გვირილაზე. მოწანწკარე რუ ყრუდ ღურღუტებდა და ულიტინებდა მის ნაპირებზე ჩარიგებულ გადარგულ ვარდის ბუჩქებს. გენოს ერთბაშად, მოეშო გულზე. მიდამოს მყუდროებამ გული სასულეს ჩაუყენა...

— ზაქროო!.. აჰაი ზაქროო!..—გასძახა მეზვრეს.

მის ხმაზე კაკლიდან მთელი გუნდი მტრედებისა ფრთხილად წამოიშალა და ზვრის ბოლოს მეორე კაკლისკენ გაემართა.

— აჰაჰოუუ!..—მოესმა ზვრის ბოლოდან.

— აქ მოდი, ააქაა!..

ზაქროს მოლოდინში გენო რუს მახლობლად, კაკლის ქვეშ მხართეძოზე მიწვა. საერთო მყუდროების სუნთქვას ცხენის ხრამა-ხრუმში, ფრუტუნის და ფეხის მონაცვლებმა არღვევდა. თვალ წინ ედგა დღევანდელი განცდანი და რიგთანად ვერ გამორკვეულიყო.

— ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი?—ეკითხებოდა თავის-თავს.—სიზმარი იყო ის, რაც წუხელის ვნახე, გაღმა სერზე. მაგრამ, სახლიდან წამოველ ცხენით: მდინარის პირად ხალხი იყო, მდინარე გამოვიარე... ხეზე ბავშვი?... მაყრული?... ეხლა ჩვენს ზვარში ვარ—ეს ხომ სინამდვილეა!..

— გენო, გენო!..—შემოესმა კვლავ გულ-შემზარავი ხმა. მიიხედა. რუში იჯდა იგივე ბავშვი, გველი შემოჰხვეოდა. დააკვირდა... გაჰქრა ჩვენება.

— არა! უსათუოდ უნდა წავიდე იმ სერზე! რალაც უცნაური ამბავია ჩემს თავს... შეიძლება ადამიანი ქკუაზედაც შესცდეს!..

ზაქროც მოვიდა.

— გენო აღდგარძელა ღმერთმა.

— გაგიმარჯოს, ჩემო ზაქრო... ხომ ყოჩაღადა ხარ?... თედო სადღაა? რას აკეთებთ?..

— აი ზვრის ბოლოში კიტრსა ვრწყავდით წუხელისა და წყალი ვაზებისკენ მიუშვით.

— კარგია!.. ზაქრო, ერთი შენებურად, კარგი თაიგულეები შემიკარ... მე ცოტა საქმე მაქვს ზემოდ და მალე დავბრუნდები. მწვანელი, ლობიო და კიტრებიც არ დაივიწყო... თაიგულეები გრილად შეინახე მარანში... კალათაში ჩააწყე: ქვეშ მწვანელი და ზემოდან ვარდები. ხურჯინის მეორე თვალში მწვანე ლობიოს ჩაჰყრი.

— ბატონი ბძანდები, შენი ჰირიმე. ბალსაც მოგართმევთ, დიდ ქალბატონს უყვარს.

— ძალიან კარგი, ჩემო ზაქრო.!

გენო მოახტა ცხენს და სერისაკენ გაემართა. კარგა მანძილი იყო სიზმრად ნანახ ადგილამდე—ათი-თორმეტი ვერსი მაინც იქნებოდა. მალე შეუღდა აღმართს. მოწმენდილი დღე იყო. მზეს კარგა წამოეწია და საგრძობლად იკბინებოდა. ოფლში გაწურული ცხენი ქშიტინით ამოკლებდა აღმართის დაკლაკნილ გზას.

გენომ მიადწია იმ ადგილებამდე. გაფაციცებით აკვირდებოდა ყველაფერს. მაგრამ ველი ველსა ჰგავდა, ბუჩქი ბუჩქს, ჩირგვი ჩირგვს და ანდესე ვერ მოსულიყო.

საშუბისტაროზე წამომდგარი მზე მიდამოს სწვავდა. გარინდებულ სათიბებს აღმური ასდიოდა. უნიავო, გათანგული, გავარვარებული ჰაერი სუნთქვას აძნელებდა.

უცებ ცხენი ფრუტუნით მარჯვნივ გაფთხვა, მარცხნივ მხარეს თვალების ბრიალით გეზად უცქეროდა. გენო ძლივს შერჩა უნაგირზე. რალაც სისინი შემოესმა. მიიხედა და გული გადაუქანდა.

თვალის დახამხამებაზე იგრილა თოფმა. ტრიალ სათიბს შუა ობლად ამართულ ხის ქვეშ ფეთიანივით წამოიჭრა სამი ვაჟიკაცი.

— ვინა ხარ, კაცი?... ე ხალხი არ ამოგვხოცო!.. რას გვერჩი?!

— ნუ გეშინიანთ, გადარჩით!—უთხრა გენომ.

— აბა, უკან მიიხედეთ!—

მთიულეებმა მიიხედეს უკან და შეშინებულნი უკან გადმოხტნენ. რამ დააფთხო ცხენი?

რად გაისროლა თოფი გენომ?

ხის ტოტზე ჩამოკიდებულიყო უზარ-მაზარი ზოლებიანი გველი, კისერი მზავრისაკენ გამოეშვირა და ისარ გაწვდილი სისინებდა. მეორე-კი მასზე კუდგადახლართული ჩამოშვებულიყო მძინარ მთიულეების თავთან და საგზლის ხურჯინში თავი წაეყო. გენომ ერთის სროლით ორივე შუაზე გასწყვიტა. მთიულეები ეხლა უფრო აიტანა შიშმა, მოსალოდნელ განსაცდელისამ.

— შენი მუხლები ჰირიმე, რომ ამ წყეულ მცურავებს გადაგვარჩინე.—დაუწყეს მადლობა.

— თქვე კაი ადამიანებო, ამ პაპანაქებაში ყველანი რო იძინებთ, არ იცით რომ ეს სერი გვლებს ბუდღა?!.. ახლა კი გამარჯვებით იყავით!—უთხრა გენომ და ცხენი მოატრიალა.

მთიულეები კიდევ მადლობას უხდიდნენ, მაგრამ გენოს ცხენი უკვე დაღმართში მიჰქროდა, თითქოს ფრთები გამოჰსხმიაო.

ისეთი ნეტარება, ისეთი უცნობი და მტკბარი განცდა ღვიოდა გენოს გულში, რომ უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა თავი... გულზე მოეშვა გაურკვეველ მდგომარეობით მოწოლილი ლოდი.

გენო მალე ჩამოვიდა ზვარში. ცხენი კაკალ ქვეშ დაამევიწინა. თვითონაც შეისვენა და მზის გადახრისას გაემართა სოფლისაკენ.

მდინარე ჩამომჯდარიყო. მაგრამ თუნდაც იმაზე უფრო მოზღვავებული ყოფილიყო, აინუნშიაც არ ჩაიგდებდა, ისეთ აღფრთოვანებას განიცდიდა.

იმ საღამოს, გენოს ყვავილებმა შეამკო ამ სოფლის პირველ წარმოდგენის სცენა.

მას მერე, ეს იღუმალი განცდანი უცნაურ გამოცანასავით უღდას თვალ წინ და თავის თავს ეკითხება:

— სად თავდება სიზმარი და სად იწყება სინამდვილე? მაგრამ დღევანდლამდე პასუხი ვერ უპოვია.

ნარკანი.